საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-770
2025 წლის 17 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“ 2018 წლის 5 აპრილის №01-82 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2018 წლის 5 აპრილის №01-82 ბრძანებაში (ვებგვერდი, 10/04/2018; სარეგისტრაციო კოდი: 480040000.22.030.016176) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. საანგარიშგებო პერიოდში №5 და №6 დანართებით გათვალისწინებულ ქვეყნებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების გაანგარიშებისათვის საბაზისო თანხა განისაზღვროს შესაბამისად 3100 ევროსა და 3495 აშშ დოლარის ოდენობით.“;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი**

დანართი №3

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ მოსამსახურეთა თანამდებობრივი მაჩვენებლები, რომლებსაც გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინება უნაზღაურდებათ როტაციის წესით სამუშაო მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის შესაბამისად

№	თანამდებობის დასახელება	მაჩვენებელი პროცენტებში
1	2	3
1	მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილე; სამინისტროს დირექტორატის დირექტორი, დეპარტამენტის უფროსი; მინისტრის კაბინეტის უფროსი, საგანგებო დავალებათა ელჩი	100
2	დირექტორატის დირექტორის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	75
3	სამმართველოს უფროსი	70
4	მრჩეველი	65
5	პირველი მდივანი	60
6	მეორე მდივანი	55

7	მესამე მდივანი, ატაშე, რეფერენტი, უსაფრთხოების ოფიცერი	50
8	მძღოლი	40